

კანაფის მოხმარების ცვლილებების შესწავლა 2015 და 2022 წლების
ზოგადი პოპულაციის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე

ავტორი: თეონა ჩხეტიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი, საბუნებისმეტყველო
მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა ჩხეტიანი

2023

აბსტრაქტი

კანაფი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოხმარებადი ფსიქოაქტიური ნივთიერებაა. ევროპის ნარკოტიკების და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) 2019 წლის ნარკოვითარების ანგარიშის მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებში ზოგადი მოსახლეობის კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ 15-64 წლამდე ასაკის ადამიანების დაახლოებით 1.8% არის ყოველდღიური ან თითქმის ყოველდღიური მომხმარებელი, რაშიც იგულისხმება ერთი თვის განმავლობაში 20 და მეტი დღე კანაფის მოხმარება.

2015 წელს საქართველოში ჩატარდა პირველი ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც შეისწავლიდა ზოგად მოსახლეობაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას. კვლევაში 4805 ადამიანი მონაწილეობდა და მრავალსაფეხურიანი შერჩევის შედეგად მოხდა შედეგების გენერალიზება. იგივე კვლევა განმეორდა 2022 წელს, 4076 მონაწილით. აღნიშნულ დროით შუალედში ქვეყანაში ძირეული ცვლილება განხორციელდა კანაფთან დაკავშირებულ ნარკოპოლიტიკასთან მიმართებით, 2017 წელს ქვეყანაში მარიხუანას მცირე ოდენობით ფლობაზე მოიხსნა თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახით.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია შეისწავლოს 2015-2022 წლებში საქართველოს ზოგად მოსახლეობაში კანაფის მოხმარების ცვლილებები. ამისათვის მოხდა ორი ფართომასშტაბიანი კვლევის მონაცემების შედარება ზოგად მოსახლეობაში კანაფის მოხმარების გავრცელების ტენდენციების შესასწავლად. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა პროგრამა SPSS-ში. მოხდა ცვლადების სიხშირული განაწილების შესწავლა, რაოდენობრივი ცვლადების t-ტესტით ანალიზი, ხოლო თვისებრივი ცვლადების - პირსონის ხი-კვადრატის ტესტირებით. რიგ შემთხვევებში განხორციელდა მონაცემთა უნივარიაციული ანალიზი ანოვას ტესტის გამოყენებით.

შედეგების მიხედვით, ქვეყანაში კანაფის უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მოხმარება 2015 წლიდან 2022 წლამდე შემცირდა 3.4%-იდან 3.3%-მდე, თუმცა აღნიშნული სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა ($\chi^2(1, N=1320) = 1.229, p = .27$). ხოლო უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება 1.2%-დან 1.4%-

მდე გაიზარდა და აღნიშნული ზრდა სტატისტიკურად სარწმუნოა ($\chi^2(1, N=388) = 18.49, p = .00$). 1.5 დღით არის გაზრდილი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების დღეების საშუალო მაჩვენებელიც. ქვეყანაში კანაფის შოვნადობის სირთულე-სიმარტივე არ შეცვლილა, თუმცა შემცირდა მომხმარებელი ადამიანების რაოდენობის დასახელება რესპონდენტთა მხრიდან. ასევე, გაზრდილია პირველად მოხმარების ასაკი, რომელიც 2022 წლისთვის საშუალოდ 21 წელს წარმოადგენს.

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ძირეული ცვლილება განხორციელდა კანაფის ნარკოპოლიტიკის კუთხით, დაფიქსირებული ცვლილებები არ არის დრამატული. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ კანაფის დეკრიმინალიზაცია არ აღმოჩნდა ასოცირებული ნივთიერების მოხმარების ზრდასთან. განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, კანაფის მოხმარების პრევალენტობა საქართველოში ზოგად მოსახლეობაში საგრძნობლად დაბალია.

Abstract:

Cannabis is one of the most commonly consumed psychoactive substances worldwide. According to the 2019 Drug Report of the European Monitoring Center for Drugs and Drug Addiction (EMCDDA), the results of surveys of the general population in EU countries confirm that approximately 1.8% of people aged 15-64 are daily or nearly-daily users, meaning 20 or more days of cannabis use in a month.

In 2015, the first large-scale study was conducted in Georgia to examine the consumption of psychoactive substances in the general population. 4805 people participated in the study and the results were generalized as a result of multi-stage sampling. The same study was conducted in 2022 with 4,076 participants. In the meantime, a fundamental change was made in the country in relation to the drug policy related to cannabis - in 2017, imprisonment for possession of a small amount of marijuana was removed in the country.

The aim of the study is to examine the changes of the consumption of cannabis in the general population of Georgia in 2015-2022 years. The data of two large-scale studies were compared to examine the trends in the prevalence of cannabis use in the general population.

Data analysis was carried out in the SPSS software. Frequency distribution of variables was studied, quantitative variables were analyzed by t-test, and qualitative variables were analyzed by Pearson's chi-square test. In some cases, univariate data analysis was performed using the ANOVA test.

According to the results, cannabis consumption in the country during the last 12 months from 2015 to 2022 has decreased from 3.4% to 3.3%, although the difference was not statistically significant ($\chi^2 (1, N=1320) = 1.229, p = .27$). Consumption of cannabis during the last 30 days has increased from 1.2% to 1.4%, and this increase was statistically significant ($\chi^2 (1, N=388) = 18.49, p = .00$). The average number of consumption days in the last 30 days has increased by 1.5 days. The perceived ease of obtaining cannabis in the country has not changed. The number of cannabis users known to respondents has decreased. At the same time, the age of first use has increased, which turned out to be 21 years as the average by 2022.

As a result, although the country has undergone a radical change in terms of cannabis related policy, the observed changes are not dramatic. It is possible to assume that the decriminalization of cannabis was not associated with an increase in cannabis use. The prevalence of cannabis use in Georgia is remarkably lower if compared to the prevalence of use in developed countries.

მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს დავით ოთიაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდით ზოგად მოსახლეობაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების კვლევის (GPS) ავტორებს ჩატარებული სამუშაოსთვის, რომელმაც შესაძლებლობა მომცა შემესწავლა და შემედარებინა მონაცემები. ასევე მადლობას ვუხდით კვლევის თითოეულ მონაწილეს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქალბატონ ირმა კირთაძეს გაწეული შრომისათვის.